ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №36

2011 წლის 22 ივლისი

დაბა ლენტეხი

„ლენტეხის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების – გერბის და დროშის დამტკიცების შესახებ“

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებით ლენტეხის მუნიციპალიტეტის სიმბოლოები – გერბი და დროშა №1 და №2 დანართების შესაბამისად.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ვ. ქურასბედიანი**

დანართი №1

ლენტეხის მუნიციპალიტეტის გერბი.

გერბი იყოფა სამ ნაწილად. I ნაწილი – ვერცხლის ველზე შავი აღჭურვილი დათვი (ეშვები, ბრჭყალები წითელია).

II ნაწილი – ლაჟვარდოვან ველზე სამი ოთხსხივიანი ოქროს ვარსკვლავი.

III ნაწილი – ზურმუხტოვან ველზე ოქროს ტახტი, რომლის ზემოთ მოთავსებულია სვანური ვერცხლის ქუდ ი.

გერბის თავს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი ნახევრად ღია კარიბჭით. ფარის ქვეშ მოთავსებულია ვერცხლ-ლაჟვარდოვანი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩაწერილია დევიზი „ლენტეხი. “

დანართი №2

ლენტეხის მუნიციპალიტეტის დროშა.

დროშა ვერტიკალურად არის გაყოფილი ორ ნაწილად.
I ნაწილი – ლაჟვარდოვან ველზე სამი ოთხსხივიანი ოქროს ვარსკვლავი.
II ნაწილი წარმოადგენს ზურმუხტოვან ველს.